

ტყროს მეშვიდე მედალი

ტყლა, 23 აგვისტო. კუბიშვილი ვ. ტრიფონოვი დღეს საბჭოთა ველოსპორტის მთავარი სენსაციია. ახალგაზრდა არმიელი გვიანტე სულ ექვსჯერ თუ შვიდჯერ გამოვიდა სპარინტერული რბოლის სტარტზე, მაგრამ მასზე წერენ როგორც გამოცდილ ველოსპორტისტზე და ზოგიერთი სპეციალისტი, ასე გასინჯეთ, ფავორიტთა რიცხვშიც ასახელებს. ტრიფონოვი წმინდა საგზატყვილო მრბოლელია, მაგრამ დღესდღეობით, როგორც ჩანს, მკვეთრი ზღვარის გავლიდა ველოსპორტის ამ სახეობასა და ტრეკს შორის აღარ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკიდან რამდენიმე გნებავთ მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ ორი, თითქოს განსხვავებული სახეობის შარმონიულ მონაცვლეობაზე.

ერთი კარგი მაგალითი ტრიფონოვის მოულოდნელი გამოჩენაცაა. ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემებით იგი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას, საკმაოდ დამაჯერებლად იქცევა ბეტონის ბილიკზე, ბევრს ფიქრობს, სხვადასხვა ტაქტიკურ ხერხს მიმართავს და სპარინტში გამარჯვებას მეტი რაღა უნდა! ერთი სიტყვით, ტრიფონოვი დიდ სარბიელზე გავიდა და აქაც, ტულის ტრეკზე, რამდენიმე ლამაზი გამარჯვება იზეიმა.

მეოთხედღიანში ახალბედს გამოცდის ჩაბარება საბჭოთა სპარინტის ლიდერთან, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. ფაკაძესთან მოუხდა. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ექს-ჩემპიონი ჭეგრობით შორსაა თავისი საუკეთესო ფორმისგან. უფრო სწორად, მან ვერ მოასწრო მომზადება. მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ამასწინა ინვალისში ჩატარდა და, ცხადია, ტულაშიც ვერ იყო სრულ მზადყოფნაში.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ფაკაძეს წინასწარი სერიის „იმედის რბოლაში“ მოუხდა მონაწილეობა, რათა ტყროს მედლისთვის ბრძოლას არ გამოკლებოდა (აქ მისი მეტოქე იყო ბურვეტნიკოვი ვ. რუდაკოვი). შემდეგ მან დაამარცხა არმიელი ა. სულარჩიკოვი და სხვა მეტოქეები.

ექს-ჩემპიონისა და ტრიფონოვის მეოთხედღიანურმა რბოლამ მაყურებლების საერთო მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ფაკაძე აქვრად უფრო ყურადღებით იყო და გამარჯვა კიდევ.

წარმატებით გაიკეთებს გზა გადამწყვეტი რბოლებისკენ 20 წლის მოსკოველი არმიელი ა. პოლტაევმა და საბჭოთა ველოსპორტის ერთ-ერთმა ვეტერანმა, ტრუდელომ ბ. რომანოვმა. ბოლოს ტყროს მედლისთვის ბრძოლას მხოლოდ უძლიერესნი შემორჩნენ და მათ გაითამაშეს კიდევ ჩემპიონის ტიტული.


I ადგილი წილად ხვდა თბილისის დინამოელ ო. ფაკაძეს. მან მეშვიდედ (ზედიზედ მეხუთედ) იზეიმა გამარჯვება საკავშირო ჩემპიონატში.

ქალთა შორის სპარინტში ტყროს მედალი შიდალი შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა ე. ერმოლაევამ. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატში თ. ცარიოვასთან დამარცხების თავისებური რევანში.

მ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში ტოლი არ ჰყავდა დინამოელთა ტრიოს (თ. გარკუშინა, ვ. სახონჩიკი, ა. კონკინა), რომელმაც ტულის ტრეკის რეკორდი დაამყარა — 3.50.17. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში გაიმარჯვეს არმიელი ველოსპორტისტებმა (ა. სტარკოვი, ი. კობი, ს. ნოვიკოვი, ა. იუდინი) — 4.37.7.

ტანდემისტთა ასპარეზობა მოიგეს შარშანდელმა ჩემპიონებმა, არმიელმა ა. ავაკოვმა და ბ. პეტროვმა.

ს უ რ ა თ ე: ო. ფაკაძე.
ა. საკოვის ფოტო.



ეროვნული
გიზლირთქვა

პროლეტარიატო ხველა ძველისა, შეერთებით

1970 წ.

№ 166 (4160) 25 აგვისტო, სამუშაოთი. შანი 3 კაა.

გაზეთი გამოდის 1984 წლ-ს 18 აპრილიდან

გამარჯვების გზით გავლეთ, გავშვებო!

ბოლო წლებში საქართველოს ნორმა ფეხბურთელებმა რამდენიმე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს საკავშირო სარბიელზე.

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით აღფრებდა თავის შახტიში წარმოებულ ბრძოლას „სიკაბუკის თასზე“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, სომხეთისა და ყირგიზეთის გუნდები. ფინალში თამაშის უფლება მათ მოიპოვეს ნახევარფინალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც სამ ზონად წარმოებდა. საინტერესოა, რომ საქართველოს გუნდმა ფინალში თამაშის საგზური მიიღო სწორედ შახტიში გამართულ ნახევარფინალურ ტურნირში.

განვლილი შეჯიბრებისთვის ჩვენს გუნდს ამზადებდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. შარდიაშვილი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბ. შარაშვილი. ნახევარფინალური ტურნირის დამთავრების შემდეგ მწვრთნელებმა რამდენიმე ცვლილება შეიტანეს გუნდის შემადგენლობაში, გადაასლისეს იგი და ასე წარსდგნენ უძლიერესთა ფორმულაში.

რუმე. კერძოდ, ახალი მოთამაშეები იყვნენ თბილისის „ლოკომოტივიდან“ და გორიდან.

ჩვენმა ნორმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ჩაატარეს ფინალური თამაშები. მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს რსფსრ-ს ნაკრები, 3:0 — ყირგიზეთის გუნდი, 4:0 — სომხეთის კოლექტივი



და ფრედ ითამაშეს უკრაინელ თანატოლებთან — 1:1.

23 აგვისტოს შედგა გადამწყვეტი მატჩი. ჩვენი მეტოქე იყო მოსკოვის ნაკრები, რომელმაც მანამდე ყველა თამაში მოიგო და 1 ქულით გვისწრებდა.

შეხვედრა უაღრესად დამაბულ

ბრძოლაში მიმდინარეობდა. მოსკოველებს 1 ქულაც ხელს აძლევდათ და ამიტომ მათ გეგმის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა საიმედო დაჯვის უზრუნველყოფა, ხოლო წინა ხაზზე — მწვავე კონტრიბუტები. უნდა ითქვას, ეს მანერვი მათ არაერთხელ განახორციელეს და მეკარე კახაბეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

მაინც, მატჩის შედეგი განაპირობა საქართველოს გუნდის ფეხბურთელთა საერთო აქტივობამ და სწირმა იერიშებმა, რომელთაგან ერთ-ერთი გოლით დამთავრა გაგუამ, ეს იყო გამარჯვების ბურთი — 1:0.

ჩვენს ფეხბურთელებს საზეიმო ვითარებაში გადავყავთ საკავშირო ალექსანტრალური კომიტეტის საპატიო პრიზი — „სიკაბუკის თასი“.

თბილისელ ფეხბურთელებთან ერთად გუნდში იყვნენ ქუთაისელი ფარულავა, ცხაკაიელი ესებუა, გორელეები ხანიშვილი და წიწუაშვილი, შუგდილელი ლოჯუა (იგი აიყვანეს გლდანის სკოლა-ინტერნატის გუნდიდან).

ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს მ. რომელაშვილი. ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია ზ. გაგუა, რომელიც საქართველოს ნაკრების მიერ გატანილი 11 ბურთიდან რვის ავტორია.

ვესურვით ჩვენს ნორმა ფეხბურთელებს შემდგომი წარმატებები სწავლასა და სპორტში!

ს უ რ ა თ ე: საქართველოს ნაკრები. სხედან (მარცხნიდან) — ზ. გაგუა, ზ. კახაძე, ნ. იავანაშვილი, შ. წიწუაშვილი, კ. ჯოჯუა, თ. ესებუა; დგანან — ვ. ხანიშვილი, ფ. კიკუაშვილი, მ. რომელაშვილი, მ. ნიკოლაიშვილი, რ. ნატროშვილი, მ. კახაძე, გ. კრავჩენკო, ფ. ჭანთყვი, ბ. ფარულავა.

ნ ა ბ ი ჯ ი უ კ ა ნ

ნოვგოროდის „სპარტაკის“ ოთხდღიანი გასაშლელმა, რომლის ვეიპას ნ. ბისტროვა, ლ. სოცკოვა, ნ. აბრამოვა, მ. კოვალოვა (მესამე — ნ. ფროლოვა) შეადგენდნენ, როგორც შარშან, ახლაც ყველა გაცურვა მოიგო, ფინალში 3.57.03 აჩვენა და პირველობა დაისაკუთრა. ამ ეკიპაჟიდან შარშანდელ ჩემპიონატში მხოლოდ ბისტროვა და აბრამოვა გამოდიოდნენ.

ოთხდღიანი წყვილმოსამედიანე მით ფინალურ ასპარეზობაში გამარჯვებულმა რუმინელებმა (3.46.16) II ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნავს (ვ. ფილოლოვა, ტ. გომოლოკო, ა. ბორაროვა, ა. მარსკინა) 1,08 წამით აჯობეს. ორადღიანი წყვილმოსამედიანე მით შეჯიბრებაში კონტინენტის ჩემპიონი გახდა გდრ-ის დუეტი —

3.57.55, საბჭოთა გუნდი (გ. სუსლინა და ე. კონდრაშინა — 4 წუთი) ვერცხლს დასჯერდა.

ერთადღიანი მით ტურნირში კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი გ. შიდაგიტე (სსრ კავშირი) ამჯერად ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა (4.26.68), თქონ კი გდრ-ის წარმომადგენელმა ა. კულკემ (4.21.62) მოიგო.

სსრ კავშირის ნიშნისგანმა წლეულს ნაბიჯით უკან დაისხეს და თავიანთი უმაღლესი ადგილი გდრ-ის ნაკრებს დაუთმეს.

